GREEN HUB

შპს "გრინ ჰაბ თბილისი"
ს/კ 405552833
გასული № 007/GR-24
"12" 06 2024 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს
შპს „გრინ ჰაბ თბილისი"-ს (ს/ნ 405552833)
დირექტორის, თამარ კაკაბაძისგან
(ელ.ფოსტა: greenhab2022@gmail.com)

მ ი მ ა რ თ ვ ა

ბატონო ვასილ,
წარმოგიდგენთ ინფორმაციას, შპს „გრინ ჰაბ თბილისის" მცენარეული საკვები ზეთებისგან ბიოდიზელის საწვავის მიღების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებით, თქვენს 2024 წლის N21/5726 წერილში მოცემულ დასაზუსტებელ საკითხებზე.

წერილ თან ერთვის:

• ინფორმაცია შპს „გრინ ჰაბ თბილისის" მცენარეული საკვები ზეთებისგან ბიოდიზელის საწვავის მიღების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის N21/5726 წერილში მოყვანილ დასაზუსტებელ საკითხებზე რეაგირების შესახებ;

• საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი - ორი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

• საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირულ წყლებში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - ორი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

• ნარჩენების მართვის გეგმა- ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია ;

• საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმა;

• დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით,
თამარ კაკაბაძე
შპს „გრინ ჰაბ თბილისი"-ს
დირექტორი

შპს "გრინ ჰაბ თბილისი" GREEN HUB TBILISI 405552833 "GREEN HUB TBILISI" LLC

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"17" 06 2024 წ.
№ 6046

ინფორმაცია შპს „გრინ ჰაბ თბილისის“ მცენარეული საკვები ზეთებისგან ბიოდიზელის საწვავის მიღების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის N21/5726 წერილში მოყვანილ დასაზუსტებელ საკითხებზე რეაგირების შესახებ

N	დასაზუსტებელი საკითხი	შპს „გრინ ჰაბ თბილისის“ კომენტარი
1	გზშ-ის ანგარიშში მოცემული აღდგენის ოპერაციის კოდი არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის შესაბამისად საქმიანობასთან დაკავშირებით შესაბამისი აღდგენის ოპერაციის კოდი;	შენიშვნა გათვალისწინებულია: შპს „გრინ ჰაბ თბილისი“-ს მცენარეული საკვები ზეთებისაგან ბიოდიზელის საწვავის მიღების საწარმოს საქმიანობა საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს პირველი დანართის მიხედვით განისაზღვრება აღდგენის კოდით R1. შესაბამისი ცვლილება შეტანილია საწარმოს ნარჩენების მართვის გეგმაში (გეგმა თან ერთვის). ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმებული იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
2	გზშ-ის ანგარიშსა და ზდგ ნორმების პროექტში არ არის შეფასებული გაფრქვევის მაჩვენებლები საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან. რაც საჭიროებს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას და ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გათვალისწინებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია: საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე თან ერთვის წერილს.
3	წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგის გეგმა, სადაც ასევე მითითებული იქნება დამატებით გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებათა ყოველკვარტალური თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების საკითხი. გეგმა, ასევე, უნდა მოიცავდეს მონიტორინგის საკითხებს ექსპლუატაციიდან ერთი წლის ვადაში კვარტალში ერთხელ საწარმოს პერიმეტრზე და 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე არსებულ საკონტროლო წერტილებზე (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, მეთოდის და სიხშირის მითითებით);	შენიშვნა გათვალისწინებულია: საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმა თან ერთვის წერილს.
4	წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში მითითებული საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა (4.5 $მ^3$/დღ) და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მაქსიმალური წლიური რაოდენობა (1485.5 მ3/წელ) არასწორად არის გაანგარიშებული. რაც საჭიროებს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას და ასევე, ზდჩ-ის ნორმების პროექტში გათვალისწინებას	შენიშვნა გათვალისწინებულია: საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირულ წყლებში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე თან ერთვის წერილს.

შპს „გრინ ჰაბ თბილისი“ GREEN HUB TBILISI 405552833 "GREEN HUB TBILISI" LLC